


წინასაპროექტო სახელწოდებათმცოდნეო რეკომენდაციები

საკვლევ შენობათა ჯგუფი მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, ღვინის აღმართის №8-ში, ისტორიული ავლაბრის ტერიტორიაზე მდებარეობს. სახელწოდება „ავლაბარი“<sup>1</sup> ისტორიულ წყაროებში პირველად 1392 წელს გვხვდება. როგორც ჩანს, თავდაპირველად ის ისნის ციხის გალავნის გარეთ მდებარე ტერიტორიას აღნიშნავდა. შემდგომ ხანებში კი ისანი და ავლაბარი სინონიმებად იქცა და ორივე მთლიანად უბანს – თავისი ციხით და ციხის გარეთ მდებარე დასახლებით – გულისხმობდა. ვახუშტი ბატონიშვილის თანახმად, ავლაბარი ისნის ახალი სახელია: „აწ უწოდებენ ისანს – ავლაბარს“<sup>2</sup>.



ავლაბარი 1735 წლის ვახუშტი ბატონიშვილის გეგმაზე

XV-XVI საუკუნეების ძნელბედობის ქამს მოსახლეობისგან დაცლილ-გავერანებულ ავლაბარში XVII საუკუნეში როსტომ მეფის ბრძანებით წოდორეთიდან გადმოყვანილი გლეხები სახლდებიან და ხდება ამ მიტოვებული ნაწილის გამოცოცხლება. XVIII საუკუნეში ავლაბარი, როგორც ცნობილია სახასო მამული იყო<sup>3</sup>, სადაც მეფე-დედოფლის, საკათალიკოსო და საეპისკოპოსო და თავად-აზნაურების ყმა-გლეხები ცხოვრობდნენ. 1800 წლის თბილისის რუკაზე<sup>4</sup> იკითხება გალავნით შემოზღუდული შიდა ავლაბარი და შემოუზღუდავი გარე ავლაბარი (ავლაბრის უბანი). საყურადღებო აქ ისაა, რომ გალავნის გარეთ მოქცეული ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთი ჩანს რომ უკვე დასახლებულია, თუმცა ეს დასახლება


<sup>1</sup> ტოპონიმი ავლაბარი, ს. ჯანაშიას და შ. მესხიას განმარტებით, არაბული წარმოშობისაა და „სასახლის მიდამოს“ უნდა ნიშნავს („ჰავალი“ – მიდამო, „ბორ“ – სასახლე). თ. ბერიძის აზრით კი, ის მომდინარეობს სიტყვა „ჰავალი ბარე“-დან, რაც ნიშნავს თხრილის, მიწაყრილის, ზღუდის იქეთა მიდამოს, გარეთუბანს (თ. ბერიძე, *ძველი თბილისის გარეუბნების ისტორია* (თბილისი, 1977), გვ. 134-135)

<sup>2</sup> *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV (თბილისი, 1973), გვ. 338.

<sup>3</sup> თ. ბერიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 137.

<sup>4</sup> ვ. ბერიძე, *თბილისის ხუროთმოძღვრება*, 1801-1917 წლები (თბილისი, 1960), ტ. I, გვ. 23.

არაა იმ ხასიათისა, რასაც ის 1800-იანი წლების შემდგომ მიიღებს. თბილისში ქალაქგეგმარების კუთხით ვითარება 1801 წლის შემდგომ იცვლება, როდესაც ხდება რუსეთის მიერ ჯერ ქართლ-კახეთის, ხოლო შემდგომ დანარჩენი სამეფო-სამთავროების ანექსია. 1800-იანი წლებიდან მოყოლებული ქალაქი და მათ შორის ჩვენთვის საყურადღებო ქუჩაც ზრდა-განვითარებას განიცდის, ხდება ქალაქის საზღვრების გაფართოება, ქუჩათა ქსელი უფრო მკაცრად ორგანიზებული ხდება, რაც წინასწარ შემუშავებული ქალაქგეგმარებითი პროექტების მიხედვით მიმდინარეობდა (ყოველივე ეს უკვე კარგად იკითხება 1831 წლის რუკაზე). XIX საუკუნის დასაწყისიდან თბილისში უკვე შენდება ისეთი ტიპის რიგი ნაგებობები, სადაც აშკარაა რუსული კლასიციზმის გავლენა, რასაც შემდგომ ემატება სწრაფვა სტილური მრავალფეროვნებისაკენ. კერძოდ, უკვე ვხედავთ არა მარტო კლასიციზტურ, არამედ რენესანსულ, ბაროკულ და გუთურ ფორმებს, ისევე როგორც ისლამურ სტილიზაციას<sup>5</sup>.



1800 წლის გეგმა



1867 წლის გეგმა

ჩვენთვის საინტერესო ქუჩას დიდი სირაჯხანის („სირაჯ“ სპარსულად მეღვინეს ნიშნავს, ხოლო „ხანა“ – სახლს)<sup>6</sup> სახელით მოიხსენიებდნენ. ეს იყო ადგილი სადაც, განთავსებული იყო დიდი რაოდენობით დუქნები და ღვინის სარდაფები, კახეთიდან მომავალი მთავარი გზა ამ ქუჩაზე ჩამოდიოდა. აქვე ახლოს იყო ძველი თბილისის უმთავრესი ღვინის ბაზარიც.<sup>7</sup> 1867 წლის გეგმაზე ქუჩა კახეთის ქუჩის სახელადაა მონიშნული, მოგვიანებით კი ქუჩამ ღვინის აღმართის სახელი მიიღო.


<sup>5</sup> თბილისი = Tbilisi, გამოსაცემად მოამზადეს მ. ბულიამ და მ. ჯანჯალიამ (თბილისი, 2002); მ. მანია, ევროპელი არქიტექტორები თბილისში (თბილისი, 2006).

<sup>6</sup> თ. კვიციანი, ძველთბილისური დასახლებანი (თბილისი, 1985), გვ. 82.

<sup>7</sup> თ. კვიციანი, იქვე.

ღვინის აღმართზე მდებარე ნაგებობები XIX საუკუნის შუა წლებითა და XX საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდებიან; გარედან დათვალიერებით (სახლებში შესვლა ამ ეტაპზე ვერ მოხერხდა) ამაზე ადრეული არაფერი ჩანს. სახლთა ჯგუფი, რომელიც ამ მონაკვეთში ერთიანდება რამდენიმე შენობას მოიცავს. ესენია ძირითადად ორ და სამსართულიანი ნაგებობები, რომელთა მთავარ ფასადებზე ხის ჭვირულ მოაჯირიანი და ლითონის აუურული აივნებია მოწყობილი.

საარქივო ფოტომასალაზე დაყრდნობით ჩანს, რომ 1900-იანი წლებისთვის ამ შენობების ადგილზე სხვა სახლები დგას. ამ ეტაპზე ძნელია იმისი თქმა ახალი ნაგებობების ასაგებად ძველი სახლების რაიმე ნაწილი იქნა გამოყენებული თუ მათი სრული დანგრევის შემდგომ აღიმართა ახლები. ამისი დადგენა შემდგომი კვლევის მერე თუ გახდება შესაძლებელი. ამ მონაკვეთში დღეს მდგარი ნაგებობები, სავარაუდოდ, XX საუკუნის პირველ ნახევარს უნდა მივაკუთვნოთ. XX საუკუნის 30-იანი წლების შუა ხანებამდე უნდა იყოს აგებული კუთხის სახლი, ხოლო მის გაგრძელებაზე (ღვინის აღმართზე) მდებარე სახლი ოდნავ მოგვიანებით (სავარაუდოდ XX საუკუნის 40-50-იან წლებში) აშენდა. რაც შეეხება დუბუ მეგრელის ქუჩაზე მდებარე სახლს (დუბუ მეგრელის ქუჩა №2), ისიც სავარაუდოდ XX საუკუნის შუა წლებისა უნდა იყოს.



1983 წელს, გ. ბათიაშვილის ხელმძღვანელობით ჩატარდა დუბუ მეგრელის ქუჩასა და ღვინის აღმართს შორის არსებულ ჩვენთვის საინტერესო სახლთა რეკონსტრუქცია, რამაც, ისევე როგორც ძველი თბილისის სხვა უბნებში წარმოებული სამუშაოების მსგავსად, გარკვეული სახეცვლა გამოიწვია. თუ რა სახის სამუშაოები და რა ტიპის ჩარევა განხორციელდა კონკრეტულად ამ შენობებზე შესაბამისი კვლევის შემდგომ გაირკვევა.

გარე დათვალიერებით შენობებზე რაიმე სახის მძიმე ფიზიკური დაზიანება არ აღინიშნება, მხოლოდ ფასადები საჭიროებს განახლებას: ბათქაში ზოგ მონაკვეთში ჩამოცვენილია, ისევე როგორც საღებავი ხისა და ლითონის დეკორატიულ ელემენტებზე. ამდენად, უნდა მოხდეს ფასადთა და მის არქიტექტურულ ელემენტთა თავიდან დაფერვა და ამ სამუშაოებისათვის აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული და ერთიანობაში განსახილველი ამავე ქუჩაზე არსებულ სხვა სახლთა მხატვრული გადაწყვეტა; უნდა შემოწმდეს ხის კარ-სარკმლის მოხარჩობები, ჭკირული აივნის დეტალები და მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში მოხდეს მათი დაზიანებული ნაწილების ხის მასალითვე ჩანაცვლება (იგივე ითქმის ლითონის აქურულ აივნებზეც). მოსაწესრიგებელია ფასადებზე გაჭიმულ-მიმაგრებული გაყვანილობები.

ღუტუ მეგრელისა და ღვინის აღმართის კუთხის ორსართულიან სახლზე XX საუკუნის მეორე ნახევარში ერთსართულიანი მოცულობა დააშენეს, რომელიც რამდენიმე წლის წინ კიდევ ახალი (ოღონდ შედარებით მცირე) მინაშენით გაფართოვდა. ჩნდება საკითხი, რომელიც კარგ მოფიქრება-დამუშავებას საჭიროებს. კერძოდ, ის თუ როგორც უნდა მოხდეს შენობის ამ ნაწილის, რომელიც ნებისმიერი წერილიდან, საიდანაც ხდება სახლის აღქმა თვალნათლივ სახილველია და რომელიც მნიშვნელოვნად არღვევს შენობის მხატვრულ სახეს, გადაწყვეტა. იდეალურ ვარიანტში რეკომენდირებული და სავალდებულოც კი იქნებოდა ამ დანაშენის მორღვევა და შენობისთვის თავდაპირველი სახის დაბრუნება, თუმცა (ამ ეტაპზე) რიგი გასაგები მიზეზების გამო ეს შეუძლებელი იქნება. ასევე ვფიქრობ ამ დანამატი სართულის ფასადის იმ სახის დეკორატიული ელემენტებით შევსება, რომელიც გარკვეულწილად გაიმეორებს ქვედა სართულების ელემენტებს არ უნდა იყოს გამართლებული; აქ მხოლოდ მცირე არქიტექტურული ელემენტის დამატებაზე თუ შეიძლება იყოს საუბარი.



მეორე მნიშვნელოვანი და საყურადღებო პრობლემა ჩნდება დღეს ყოველად უსახოდ მდგარ ღუტუ მეგრელის ქუჩა №2-ის ფასადის მოწესრიგებასთან დაკავშირებით: ამ შემთხვევაში ფასადისთვის გარკვეული მხატვრული სახის მისაცემად რეკომენდირებული იქნება იმ სახის

სარკმლის ალათების აღდგენა რაც ძველ ფოტომასალაზეა შემორჩენილი. და გარდა



ამისა, ვფიქრობ უნდა აღდგეს ყრუ და ნამდვილი სარკმლების მონაცვლეობის ის რიტმიც რაც დღეს დარღვეულია. ასევე კარგი იქნება თუკი მოხერხდება მეპატრონესთან შეთანხმება და ფანჯრის კონდიციონერების აღება ამ მნიშვნელოვანი ფასადიდან, რომელიც ხილვადია სხვადასხვა წერტილიდან.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ღვინის აღმართის აყოლებაზე ჩამწკრივებული სახლების (№8) შემდგომ არსებული თავისუფალი სივრცის, სადაც ერთ დროს სახლების რიგი იდგა (ეს სახლები კარგად ჩანს ძველ ფოტომასალაზე), ათვისება-გადაწყვეტა, რომლის დროსაც გათვალისწინებულ უნდა იქნას როგორც საარქივო მასალა, ასევე ქუჩის რელიეფი და აქ არსებული განაშენიანება. ახალი შენობის აგების შემთხვევაში რეკომენდირებულია ღიობთა დანაწევრების იმ რიტმის გამოყენება, როგორც ძველ ფოტომასალაზე კარგად იკითხება, თუმცა შენობის აგება სასურველია მოხდეს ძველისგან განსხვავებული სამშენებლო მასალით.

ნ. ჩიქოვანი

ვ. სიგიაძე

